ლობად გვრჩება ის, რომ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და ქვეყნის 20% კვლავ ოკუპირებული. ასევე, ვერც იმ ტრაგედიებს ვერ აუვლით გვერდს , რაც მსოფლიოში ხდება. რამდენი ათასი ბავშვი ვერ მოესწრო ახალი წელს, რადგან უფროსების რელიგიური ფანატიზმი ომებში გადაიზარდა, რასისტული დაპირისპირება სიძულვილსა და სისხლისღვრაში.

შემზარავია ის ფაქტი, რომ ქრისტეს შობიდან 2016 წელის შემდეგაც, ადამიანები იარაღის საშუალებით და სხვისი სიცოცხლის ფასად ცდილობენ გავლენის მოპოვებას.

იმედი მაქვს, რომ ახალი წელი უფრო მშვიდობიანი და ნაყოფიერი იქნება. უფალი ხომ ყოველ დღესა და წელს კეთილად ყოფს, მაგრამ ჩვენზეა დამოკიდებული თუ როგორ წარვმართავთ მას.

ერთმანეთში მხოლოდ ღვთის ხატება დავინახოთ და ყოველი ჩვენი შესაძლებლობა მივაპყროთ იმისკენ, რომ მივემგავსოთ უფალს, რომელიც არის ღმერთი სიყვარულისა, მშვიდობისა და სიკეთისა.

სიყვარულით,

მეუფე საბა

ეპარქიის ახალი მმართველ

ი მღვდელმთავარი

***

2016 წლის 30 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრად დაინიშნა ყოველადუსამღვდელოესი **ეპისკოპოსი ლაზარე (სამადბეგიშვილი).**

3 იანვარს, ეპისკოპოსი ლაზარე ჩაბრძანდა ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიაში, მოხდა მისი წარდგენა და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის საკათედრო ტაძარში აღევლინა პარაკლისი.

ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია

ომის ვეტერანთა დალოცვა

18 დეკემბერს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში საკვირაო წირვის შემდეგ, ბარბარობის დღესასწაულსა და ეროვნული გვარდიის დღესთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ომის ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები დალოცა.

„დღეს ჩვენ ვლოცავთ ომის ვეტერანებს, რომელთა მხრებზეც ამ საშინელმა ომებმა გადაიარა. ღმერთმა ძალა მოგცეთ და დაგლოცოთ. ღმერთმა დალოცოს თქვენი ოჯახები", – ბრძანა პატრიარქმა.

მსჯავრდებულთა ნამუშევრების საშობაო გამოფენა გაიმართა

ა.წ. 27 დეკემბერს, 17 პენიტენციური დაწესებულების საგანმანათლებლო ცენტრში მსჯავრდებულთა ნამუშევრების საშობაო გამოფენა გაიმართა, სადაც 40-მდე მსჯავრდებულის 200-მდე ხეზე კვეთის უნიკალური ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

უმრავლესობას საეკლესიო დანიშნულება ჰქონდა და დიდი სიყვარულით იყო შესრულებული.

„ეს ნამუშევრები უნიკალურია ტექნიკის მხრივაც, რადგან ჩვენ მხოლოდ საჭრელი დანებით ვმუშაობთ. როდესაც ხატებს ხეზე ვკვეთავთ, სიკეთესა და სულიერ თემებზე ვლაპარაკობთ, ცუდზე ფიქრის დრო აღარ გვრჩება. არაერთმა მსჯავრდებულმა, რომელმაც დაწესებულებაში შეისწავლა ხეზე კვეთა, გათავისუფლების შემდეგ, გარეთ გააგრძელა ეს საქმე,"- განაცხადა ხეზე კვეთის პედაგოგმა ოლივერ შველიძემ.

საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებმა: საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) და რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) დალოცეს მსჯავრდებულები, უსურვეს შემდომი წინსვლა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-გან საჩუქრები – წიგნები, საეკლესიო კალენდრები და ჟურნალები გადასცეს.

ხელდასხმა

1 იანვარს გორის ღვთისმშობლის შობის სახ. საკათედრო ტაძარში გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახ. საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან გიორგი მეტრეველს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული და საპატრიარქო ტაძრის სტიქაროსანი **საბა საბიაშვილი.**

მღვდელი გიორგი მცხეთაში, წმ. იოანე-თორნიკე მთაწმინდელის სახ. დედათა მონასტერში მწირველ მოძღვრად დაინიშნა.

დიაკვანი საბა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახ. საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

აღკვეცა

28 დეკემბერს იმერხევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა (მცირე სქემაში) იმავე მონასტრის მორჩილი **მირიან ნასყიდაშვილი** და სახელად **მაქსიმე** უწოდა (წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელზე).

* * *

1 იანვარს ბრეთის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მონაზვნად აღკვეცა (მცირე სქემაში) მორჩილი **ემილია ხურცილავა** და სახელად **ელენე** უწოდა (წმ. მოციქულთა სწორი ელენე დედოფლის სახელზე).

* * *

6 იანვარ! სარკინეთის წმინდა შიომღვიმელის სა-

ხელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბ ერად აღკვეცა (მცირე სქემაში) ბერმუხას წმ. მერკვირის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი **დავით ბალუაშვილი** და სახელად **გიორგი** უწოდა (წმ. გიორგი დაყუდებულის სახელზე).

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტი მწუხარებით იუწყება, რომ 2 იანვარს გარდაიცვალა რუის-ურბნისის ეპარიის, ორთუბნის ღვთისმშობლის კვართის სახელობის დედათა მონასტრის წევრი, **სქემმონოზონი ანა (ლაუონია)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლადშესვენებული **სქემმონაზონი ანა.**

* * *

საპატრიარქოს პრესცენტი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს არქივის ყოფილ თანამშრომელს, ირინა სულაძეს, ავტოკატასტროფაში გარდაეცვალა ვაჟი რატი-ლაშა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლადშესვენებული **რატი-ლაშა.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ის საკვირაო ქადაგება

ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 18 იანვარი, 2017 წ.

„დიდი აიაზმა თქვენ უნდა ასხუროთ თქვენს ეზო-კარს, თქვენს შვილებს, ოჯახის წევრებს და მადლი ღვთისა მუდამ თქვენთან იქნება!"

ჩვენთან არს ღმერთი!

დიდება და მადლობა უფალს ყველაფრისათვის!

ყველას გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს! დღეს არის ყოვლადწმინდა სამების განცხადების დღესასწაული — ისმის ხმა მამისა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ", ძე ღვთისა შედის იორდანეში და წმინდა იოანე ნათლისმცემლისგან ღებულობს ნათლისღებას და ამ დროს სულიწმინდა სახითა ტრედისაითა გვევლინება უფლისა ჩვენსა იესო ქრისტეს თავზე.

ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ მისი უზენაესი წყალობა იცავს ჩვენს ქვეყანას! ჩვენ ვმადლობთ უფალს იმ დიდი წყალობისათვის, რომელსაც იგი გვანიჭებს! „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი!"

დღეს ჩვენ ვაკურთხეთ წმინდა წყალი — დიდი აიაზმა. ნაკურთხი წყალი აუცილებლად უნდა წაიღოთ ტაძრიდან ყოველმა თქვენგანმა. ყოველ ოჯახს, ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს სახლში ეს დიდი სიწმინდე. მას აქვს უდიდესი ძალა. დიდი აიაზმა თქვენ უნდა ასხუროთ თქვენს ეზო-კარს, თქვენს შვილებს, ოჯახის წევრებს და მადლი ღვთისა მუდამ თქვენთან იქნება!

ღმერთი იყოს თქვენი, სრულიად საქართველოსა და მთელი მსოფლიოს მფარველი, ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი!

ელ. ვერსია მოამზადა მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

47-ე ნათლობა სამებაში

19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში რიგით 47-ე საჯარო ნათლობა ჩატარდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II კიდევ 800-მდე ბავშვის ნათლია გახდა.

სადღეისოდ პატრიარქს უკვე 30 000-ზე მეტი ნათლული ჰყავს.

ნათლობის დასასრულს, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მრევლს ქადაგებით მიმართა და სათითაოდ დალოცა თავისი ნათლულები.

„ღვთის მადლი გარდამოვიდა ბავშვებზე, ადამიანებზე, რომელთაც დღეს მიიღეს ნათლისღება. დღეს ბედნიერია ცა და ქვეყანა, დალოცვილი და ბედნიერი იყავით თქვენ, ჩემი ნათლულები, მათი ოჯახები და სრულიად საქართველო!" — ბრძანა თავის სიტყვაში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

ხელდასხმა

14 იანვარს სარკინეთის წმ. შიო მღვიმელის სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი სარკინეთის წმ. შიო მღვიმელის სახ. მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვან იოანეს (ფოცხვერია).**

* * *

19 იანვარს ბერმუხის წმ. იოსებ კათოლიკოსის სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ლომისის წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტრის წინამძღვარ, **ბერ-დიაკვან გრიგოლს (მამადაშვილი).**

ტაძრის კურთხევა და დაჯილდოება

4 დეკემბერს, სამთავისისისა და კასპის ეპისკოპოსმა დამიანემ (ხუფენია) კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში აკურთხა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ახლად აშენებული ტაძარი (ქტიტორი გიორგი (ჯამბულ) ლელაშვილი).

ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა **მღვდელი გაბრიელ კერესელიძე.**

იმავე დღეს, პირველ სადღესასწაულო წირვაზე სამთავისისა და კასპის ეპისკოპოსმა დამიანემ

მღვდელი გაბრიელ კერესელიძე ოქროს ჯვრით დაჯილდოვა.

ალკვეცა

17 იანვარს ბერმუხის წმ. იოსებ კათოლიკოსის სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში ალკვეცა ბერმუხის წმ. მერკვირის სახ. მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვანი ლუკიანე (სხილაძე)** და სახელად ისევ **ლუკიანე** უწოდა (ლუკიანე ანტიოქიელის სახელზე).

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მცხეთა-თბილისის ეპარქიის, კოჯრის (ქოროღლის ციხე) წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვანი ნოე (სვანიშვილი)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **ბერ-დიაკვანი ნოე.**

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 12 იანვარს გარდაიცვალა მცხეთა-თბილისის ეპარქიის, თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახ. საპატრიარქო ლავრის **სქემმღვდელ-მონაზონი იაკობი (მკალავიშვილი)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული **სქემმღვდელ-მონაზონი იაკობი.**

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 16 იანვარს გარდაიცვალა მარგვეთისა და უბისის ეპარქიის **მონაზონი სოფიო (ბასილაშვილი)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული **მონაზონი სოფიო.**

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 17 იანვარს გარდაიცვალა მცხეთა-თბილისის ეპარქიის, თბილისის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახ. ტაძრის **არქიმანდრიტი ფილარეტი (კუდინოვი).**

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლადშესვენებული **არქიმანდრიტი ფილარეტი.**

* * *

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 18 იანვარს გარდაიცვალა რუისისა და ურბნისის ეპარქიის, ურბნისის წმ. ნინოს სახ. დედათა მონასტრის **სქემმონაზონი თეოფანია (კავლელიშვილი)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლადშესვენებული **სქემმონაზონი თეოფანია.**

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სამკურნალოდ გერმანიაში გაემგზავრა

2 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სამკურნალოდ გერმანიაში, ბერლინის ერთ-ერთ კლინიკაში გაემგზავრა.

პატრიარქის პირადი ექიმის, ქალბატონი ცისანა შარტავას განმარტებით, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავს კარგად გრძნობს. კათოლიკოს-პატრიარქს უტარდება სპეციალური გამოკვლევები, რის შემდეგაც გადაწყდება მისი მკურნალობის შემდგომი ტაქტიკა.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" თანამშრომელს ია საკანდელიძეს გარდაეცვალა ძმა – კახა საკანდელიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული **კახას** სული.

ხელდასხმა

5 თებერვალს, რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის კურსდამთავრებულს, თბილისის წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახ. ტაძრის (სვანეთის უბანი) **დიაკონ გიორგი ბედიაშვილს.**

მღვდელი გიორგი იმავე ტაძარში იმსახურებს.

* * *

29 იანვარს რუსთავის წმ. ვახტანგ გორგასლის სახ. საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძრის **დიაკვან კონსტანტინე დავითაშვილს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის კურსდამთავრებული **ლევან კობახიძე.**

მღვდელი კონსტანტინე თბილისის წმ. არჩილ და ლუარსაბის სახ. ტაძარში დაინიშნა.

დიაკვანი ლევანი დიდი დიღმის წმ. ნიკოლოზის სახ. მამათა მონასტერში იმსახურებს.

* * *

3 იანვარს ზარიძეების წმ. გიორგის სახ. ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) მღვდლად დაასხა ხელი მაღაროსკარის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის **დიაკვან ლაზარე ივანიაშვილს.**

* * *

4 იანვარს ზარიძეების წმ. გიორგის სახ. ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) მღვდლად დაასხა ხელი თიანეთის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძრის **დიაკვან თომა პატარაიას.**

* * *

5 იანვარს ზარიძეების წმ. გიორგის სახ. ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) მღვდლად დაასხა ხელი თიანეთის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძრის **დიაკვან ზურაბ ორმოცაძეს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **ზაზა ცხადაძე** და სახელად **ზაქარია** უწოდა.

* * *

27 იანვარს ბერმუხის წმ. იოსებ კათალიკოსის სახ. ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ბერმუხის წმ. მერკვირის სახ. მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვან ლუკიანეს (სხილაძე).**

* * *

29 იანვარს ახალციხის წმ. მარინეს სახ. საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახ. საპატრიარქო ლავრის **ბერ-დიაკვან ნაზარს (ბასილაია),** ხოლო დიაკვნად აკურთხა ქანდის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახ. მამათა მონასტრის **ბერი შიო (ხონელიძე).**

* * *

29 იანვარს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში ხორნაბუჯელმა ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახ. საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან ირაკლი ებრალიძეს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის კურსდამთავრებული **შოთა ჩორგოლეიშვილი** და სახელად **ანტონი** უწოდა.

მღვდელი ირაკლი თბილისის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახ. (მე-8 ლეგიონი) ტაძარში იმსახურებს.

დიაკვანი ანტონი ვაზისუბნის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახ. მშენებარე ტაძარში დაინიშნა.

* * *

30 იანვარს ზემო შუანოს წმ. ანტონი დიდის სახ. მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) იმავე მონასტრის მორჩილი **იაგო ჩიტაძე** ბერად აღკვეცა (მცირე სქემა) და სახელად **ისააკი** უწოდა (წმ. ისააკ ასურის სახელზე).

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 11, 25 თებერვალს, 13.00-14.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 11 თებერვალს, 14.30 სთ., 24 თებერვალს, 18.00 სთ.;

რევმატოლოგი — 14, 28 თებერვალს, 18.00 სთ.;

დერმატოლოგი — 15 თებერვალს, 13.00 სთ.;

ნევროლოგი და ნეიროქირურგი — 21 თებერვალს, 17.00 სთ.;

ეპილეფტოლოგი — 26 თებერვალს, 12.00-13.00 სთ.

ალერგოლოგი — 20 თებერვალს, 17.00 სთ.;

კარდიოლოგი — სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს — 17.30 სთ.

ალერგოლოგის, სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ინფექციონისტისტ-სეფსისოლოგის, ოფთალმოლოგის, მამოლოგის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

ხელდასხმა

5 თებერვალს რუსთავის წმ. ვახტანგ გორგასლის სახ. საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოველადწმინდა სამების სახ. საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან გიორგი ბედიაშვილს**.

მღვდელი გიორგი თბილისის წმ. დემეტრე თავდადებულის სახ. ტაძარში იმსახურებს.

***

5 თებერვალს გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახ. საკათედრო ტაძარში გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი **გურამ ხუციშვილი**.

დიაკვანი გურამი თბილისის ნაძალადევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძარში იმსახურებს.

ალი გაიხსნა, აღნიშნული ინსტიტუტის ენის განყოფილება აკადემიის სისტემაში გადავიდა და მის ბაზაზე შეიქმნა ე.წ. ენიმკი (ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი).

სრულიად აშკარა იყო, რომ ეროვნული სამეცნიერო პოტენციალი და მისი განვითარების დინამიკა საბჭოთა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პროვინციული ფილიალის ჩარჩოებში ვერ მოთავსდებოდა და მოსკოვმა მიიღო გონივრული გადაწყვეტილება, ანუ დათმობა გადაწყვიტა და 1941 წლის 1 მარტს თბილისში დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ცხადია, ეს კიდევ ერთი დიდი წარმატება იყო ეროვნული სახელმწიფოს საფუძვლების მომზადების გზაზე. უკვე გამოცდილი მოდელის მიხედვით, მეცნიერებათა აკადემია შეიქმნა როგორც სამეცნიერო დაწესებულებათა ერთიანი სისტემა (რომლის შემადგენელ ინსტიტუტებს ღირსეულად წარმოადგენდა ქართული აკადემიის პირველი ბრწყინვალე შემადგენლობა); აკადემიის სისტემაში, როგორც მოსალოდნელია, დაფუძნების დროიდანვე არსებობდა ენის ინსტიტუტი, რომელიც 1950 წლის 17 ივლისიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტად იწოდა.

ეს ინსტიტუტი აშკარად აკად. არნ. ჩიქობავას ლიდერობით ჩამოყალიბდა და, მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ ორიოდე წლით (1950-52) იყო ინსტიტუტის დირექტორი, ამ ინსტიტუტის მრავალმხრივ სამეცნიერო ცხოვრებას სწორედ მისი მძლავრი გონება და ნებელობა წარმართავდა მეცნიერის მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში. ამიტომაც იყო, რომ მეცნიერის გარდაცვალების (1985 წ.) შემდგომ სულ რაღაც ორიოდე წელიწადში მიენიჭა დიდი მეცნიერის სახელი მის მშობლიურ ინსტიტუტს.

ქრონიკა. ინფორმაცია.

აღკვეცა

26 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისის თაბორის მთის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტერში, ამავე მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდიტმა ბართლომემ (ფირცხალაშვილი) ბერად აღკვეცა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მამუკა ცუხიშვილი** და სახელად უწოდა **იოანე** (მცხეთისა და ყოველთა ქართველთა პირველი ეპისკოპოსის იოანე პირველის სახელზედ). მონაზონ იოანეს უფლება მიეცა გააგრძელოს სამეცნიერო, პუბლიცისტური და პედაგოგიური მოღვაწეობა.

***

26 თებერვალს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოს მელქისედეკის (ხაჩიძე) ლოცვა-კურთხევით ტაბაკინის წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტერში წინამძღვარმა, იღუმენმა იაკობმა (ჭოხონელიძე) ბერად აღკვეცა იმავე მონასტრის **მორჩილი მამუკა აბაშიძე** და სახელად **იობი** უწოდა.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 18, 25 მარტს, 13.00-14.00 სთ.;
რევმატოლოგი — 21 მარტს, 18.00 სთ.;
თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 18 მარტს, 14.30 სთ., 31 მარტს, 18.00 სთ.;
ნევროლოგი — 12 მარტს, 11.00-13.00 სთ.; 23 მარტს, 17.00 სთ.;
ეპილეფტოლოგი — 26 მარტს, 12.00-13.00 სთ.
ალერგოლოგი — 13 მარტს, 16.30 სთ.;
დერმატოლოგი — 15 მარტს, 13.00 სთ.;
ფთიზიატრი — 25 მარტს, 12.00-13.00 სთ.;
კარდიოლოგი — სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს — 17.30 სთ.

ალერგოლოგის, სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ინფექციონისტისტ-სეფსისოლოგის, ოფთალმოლოგის, მამოლოგის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

ქრონიკა. ინფორმაცია.

ხელდასხმა

5 მარტს, რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში **რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ** (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის სანზონის დასახლების წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ღვთისმსახურს, **დიაკონ გიორგი ხუბაშვილს.**

მღვდელი გიორგი თემქის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

* * *

12 მარტს, რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში **რუსთველმა მიტროპოლიტმა** იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ვაზისუბნის დასახლების წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის ღვთისმსახურს, **დიაკონ იოსებ შეყელაძეს.**

მღვდელი იოსები იმავე ტაძარში იმსახურებს.

საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებას" ახალი დირექტორი ჰყავს

ა.წ. 10 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებით, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" დირექტორად დაინიშნა ქაშუეთის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მიქაელ ფოფხაძე.

„საპატრიარქოს უწყებანი" ულოცავს მამა მიქაელს ამ საპასუხისმგებლო თანამდებობას და უსურვებს ნაყოფიერ მოღვაწეობას დედაეკლესიისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს საპატრიარქოში

ა.წ. 8 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებთან ერთად საქართველოს საპატრიარქოში მიიღო საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი ნიკოს კოძიასი თანმხლებ პირებთან ერთად. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს ელჩი საბერძნეთში, ბატონი იოსებ ნანობაშვილი.

ვიზიტი მეგობრულ ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა საბერძნეთის რესპუბლიკასა და საქართველოს ეკლესიას შორის ისტორიულად არსებული კავშირების განმტკიცებას და სამომავლო პერსპექტივების დასახვას.

„მუდამ მოხარული ვართ ასეთი შეხვედრებისა. ჩვენ შორის უძველესი კონტაქტები იყო ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე. გაოცებულები ვართ იმ კულტურით, რომელსაც ფლობს ბერძენი ხალხი", - ბრძანა პატრიარქმა.

„გლობალიზაციის პროცესში ჩვენ ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ ერთმანეთისგან. უძველესი ბერძნული კულტურა და საქართველოს კულტურა — ეს უნიკალურია და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მისი დაცვისთვის. ნამდვილად ასეა, რომ კულტურას გვაძლევს ღმერთი, ამავე დროს, კულტურას ქმნის თვითონ ადამიანი. იმედია, ჩვენი კულტურა განვითარდება, წინ წავა. თქვენ გამოიარეთ ძალიან მძიმე გზა ევროპაში და თქვენ ღირსეულად დაძლიეთ ის სიმძიმეები, რომლებიც წინ შეგხვდათ. არ გვეშინია მომავლის სიმძიმეებისა. ვფიქრობ, ქართველი ხალხი ღირსეულად შეხვდება იმ სიმძიმეებს", - ბრძანა პატრიარქმა.

ილია მეორის თქმით, ქართველი ახალგაზრდები სწავლობენ საბერძნეთში და ასევე ბევრი ადამიანი მუშაობს იქ და საზრდოობს. მისივე განცხადებით, გაჭირვების დროს საბერძნეთმა დიდი დახმარების ხელი გამოუწოდა საქართველოს.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბატონმა ნიკოს კოძიასისმა მისი უწმინდესობა მიიწვია საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში, ათენში გაიმართება.

კათოლიკოს-პატრიარქმა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

შეეწიეთ სნეულ პატარას

8 წლის ილია იმერლიშვილს სასწრაფოდ ესაჭიროება მეექვსე უროლოგიური ოპერაცია — მარცხენა თირკმლის ფუნქციის გადასარჩენად. ილია ოჯახში მეოთხე ბავშვია. ის დაიბადა ორივე თირკმლის პრობლემით (ორმხრივი ურეთეროჰიდრონეფროზი).

ოპერაციას სახელმწიფო მხოლოდ ნაწილობრივ, 70%-ით აფინანსებს.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ სნეულ პატარას.

დარეკეთ სპეცნომერზე მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი: 0901901970 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

საქველმოქმედო ანგარიში:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი: BAGAGE22

„ილია იმერლიშვილი დახმარების ფონდი"

ანგარიშის ნომერი: GE47BG0000000270473600

საკონტაქტო ტელეფონი 574 555 277

ფეისბუკი Ilia Ilia Imerlishvili

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 25 მარტს, 13.00-14.00 სთ.;

რევმატოლოგი — 21 მარტს, 18.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 31 მარტს, 18.00 სთ.;

ნევროლოგი — 23 მარტს, 17.00 სთ.;

ეპილეფტოლოგი — 26 მარტს, 12.00-13.00 სთ.

დერმატოლოგი — 15 მარტს, 13.00 სთ.;

ქრონიკა. ინფორმაცია.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თეირანის სულიერი ლიდერი საპატრიარქოში მიიღო

ა.წ. 20 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად საქართველოს საპატრიარქოში მიიღო ირანელთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა აიათოლა ქამეზ სედიგი — თეირანის სულიერი ლიდერი. შეხვედრას ესწრებოდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, ბატონი ზაზა ვაშაყმაძე.

ვიზიტი მეგობრულ ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა ირანის რესპუბლიკასა და საქართველოს ეკლესიას შორის არსებული კავშირების განმტკიცებას.

შეხვედრაზე ისაუბრეს გახშირებულ ტერორისტულ აქტებსა და მსოფლიოში განვითარებულ მძიმე პროცესებზე, რომლებსაც, სამწუხაროდ, უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან. ასევე განიხილეს საქართველოსა და ირანში არსებული მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების კუთხით. სტუმარმა კმაყოფილება გამოთქვა მუსლიმურ თემსა და მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის არსებული თბილი ურთიერთდამოკიდებულების გამო. მან ასევე ხაზი გაუსვა მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის პიროვნების როლს და აღნიშნა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ილია II რეგიონში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დელეგაციის წევრებს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა, მან დასძინა, რომ ჩვენს ქვეყანაში რწმენის თავისუფლების ერთ-ერთი დადასტურება საქართველოში არსებული მრავალრიცხოვანი მეჩეთებია და გამოთქვა იმედი, რომ სამომავლოდ ირანშიც ამოქმედდება მართლმადიდებლური ეკლესია.

თეირანის სულიერმა ლიდერმა წარადგინა ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალი ელჩი საქართველოში ბატონი ჯავათკავამ შაჰიდი.

აიათოლა ქამეზ სედიგმა და ახლად დანიშნულმა ელჩმა ყურადღება გაამახვილეს მულტიკულტურულ ქვეყანაში სახელმწიფოს როლზე და რელიგიის სააგენტოს შექმნა დადებითად შეაფასეს.

შეხვედრის დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქმა და თეირანის სულიერმა ლიდერმა ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

შვიდგზის ზეთისცხება №15 პენიტენციურ დაწესებულებაში

ა.წ. 14 მარტს, მსჯავრდებულთა თხოვნით, საქართველოს საპატრიარქოსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს ერთობლივი ორგანიზებით, №15 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში რუისისა და ურბნისის ეპარქიიდან მოწვეულმა მღვდელმსახურებმა აღასრულეს შვიდგზის ზეთისცხების წესი, რომელშიც 1000-მდე მსჯავრდებულმა მიიღო მონაწილეობა.

დაჯილდოება

19 მარტს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში 25-წლიანი ერთგული სამსახურისთვის **არქიმანდრიტი დავითი (ჭინჭარაული)** მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა.

აღკვეცა

5 მარტს ბერმუხის წმ. იოსებ კათალიკოსის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა დიდ სქემაში აღკვეცა ბერმუხის წმ. მერკვირის სახელობის მამათა მონასტრის **მღვდელი პავლე (შეყრილაძე)** და სახელად **პართენი** უწოდა (წმ. პართენ ლაფსაიკელის სახელობაზე).

***

11 მარტს მზოვრეთის ათცამეტ ასურელ მამათა სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) იმავე სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვანი რაფაელი (ჯოხაძე)** ბერად აღკვეცა (დიდ სქემაში) და სახელად **ეზრა** უწოდა.

***

16 მარტს შატბერდის წმ. ეკატერინეს სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ქვათეთრის ყოველთა წმიდათა სახელობის მამათა მონასტრის **ბერი ლავრენტი (ნიკურაძე)** ბერად აღკვეცა (დიდ სქემაში) და სახელად **ლეონტი** უწოდა (წმ. ლეონტი იერუსალიმელი პატრიარქის სახელობაზე).

ხელდასხმა

18 მარტს მზოვრეთის აცამეტ ასურელ მამათა სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) იმავე სახელობის მამათა მონასტრის**სქემბერ-დიაკვან ეზრას (ჯოხაძე)** მღვდლად დაასხა ხელი, ხოლო დიაკვნად აკურთხა **ბერი ურიელი (ჯანგავაძე).**

გიური დატვირთვა, როგორც ენდემურ სახეობასა და კოლხური ტყეების ერთ-ერთი დომინანტ და უძვირფასესი მცენარეს, ასევე, მნიშვნელოვანია რელიგიური თვალსაზრისით. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბზა მასობრივად ხმება ბუნებრივი გავრცელების მთელ არეალზე.

დადგენილია ხმობის ძირითადი მიზეზები: დაავადება - ე.წ „ბზის სიდამწვრე" (დაავადებამ თითქმის მთლიანად გაანადგურა აჭარის ტერიტორიაზე არსებული ბზის უნიკალური კორომები) და დაავადებას დაემატა მავნებელი მწერი - ბზის ალურა, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ჯერ კიდევ შემორჩენილ, ჯანსაღ ნარგაობას.

ამჟამად დღის წესრიგში დგას კოლხური ბზის, როგორც სახეობის გადარჩენა, რაც კარგად დაგეგმილი, ორგანიზებული, ფინანსურად უზრუნველყოფილი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან (CENN) და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, 2013 წლიდან აქტიურად მუშაობს არსებული მდგომარეობის შერბილებაზე.

- გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა და კონფერენცია, ქვეყანაში მოქმედ, შესაბამისი პროფილის მქონე სამეცნიერო ორგანიზაციების მონაწილეობით;

- ბზის ჯანსაღი კორომებიდან შეგროვდა თესლი და შეიქმნა თესლის ბანკი;

- განხორციელდა ბზის დაკალმება - მის გასამრავლებლად;

- CENN -ის დახმარებით მომზადდა საინფორმაციო ვიდეო/აუდიო რგოლები და ბეჭდური მასალა, დაავადების/მავნებლის პრევენციის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებული ღონისძიებებისა და შინაურ პირობებში ბზის გამრავლების წესების შესახებ;

- IUCN-ის დახმარებით ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის ტერიტორიაზე (სამეგრელო ზემო სვანეთის, კახეთის, გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში) განხორციელდა სატყეო პათოლოგიური შესწავლა საერთაშორისო ექსპერტების მიერ.

უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ბზის უკანონოდ მოპოვება ტყეში რაც, ერთი მხრივ, ანადგურებს ჯერ კიდევ ჯანსაღად შემორჩენილ ნარგაობას, ასევე ხელს უწყობს დაავადებისა და მავნებლის გავრცელებას.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ და ეკლესიამ გამოხატეს მზაობა, მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლონ და ხელი შეუწყონ კოლხური ბზის გადარჩენისთვის ზრუნვას.

დაჯილდოება

2 აპრილს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემოქმედის ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენლები:

დეკანოზი მირიან ფირცხალაიშვილი — მეორე ჯვრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ბასილ გოგოტიშვილი — მეორე ჯვრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ზაქარია ხილაიშვილი — მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ლუკა ბაკურაძე — მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი თომა გოგოტიშვილი — გამშვენებული ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი პავლე ქინქლაძე — გამშვენებული ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი გიორგი ჭელიძე — გამშვენებული ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი მიქაელ გუდავაძე — გამშვენებული ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით;

იღუმენი ანდრია (მამულაშვილი) — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ბართლომე რუხაძე — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ვიქტორ გიორგაძე — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

დეკანოზი გიორგი ბარამიძე — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

მღვდელი იოსებ ნაკაიძე — აღყვანილია დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

მღვდელი გრიგოლ დობორჯგინიძე — აღყვანილია დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

მღვდელი იაკობ ასათიანი — აღყვანილია დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

ილუმენია სარა (დათებაშვილი) — დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით.

საპატრიარქოს ფონდი „ლაზარეს" პროექტი – „წიგნები სკოლებს"

საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე" სს „თელასის" მხარდაჭერით 2016 წლის ოქტომბრიდან ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტს სახელწოდებით - „წიგნები სკოლებს", რომლის ფარგლებში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სკოლებს (მესტიის წმ. ილარიონ ქართველის სახელობის სკოლა-გიმნაზია, სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახელობის სკოლა-პანსიონი, ამბროლაურის №1 და №2 საჯარო სკოლები, ქარელის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია, ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, ბორჯომის მე-6 საჯარო სკოლა) საჩუქრად გადაეცა მხატვრული და სასწავლო ლიტერატურა.

პროექტის მიზანია რეგიონებში განათლების ხელშეწყობა, მოსწავლეებში წიგნის სიყვარულის გაღვივება და მისდამი ინტერესის გაზრდა.

„გაამწვანე საქართველო" ქარელის რაიონში

ა.წ. 28 მარტს ფონდ „გაამწვანე საქართველოს", ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა თანადგომა მშვიდობისათვის" ძალისხმევითა და ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურის მხარდაჭერით ქარელის რაიონის სამწევრისის მთავარანგელოზთა დედათა მონასტრის ეზო, ახალსოფლის დევნილთა დასახლებაში არსებული სკვერი და სპორტული მოედნის მიმდებარე ტერიტორია გამწვანდა. ეს აქცია მიეძღვნა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაბადებულ ბავშვებს. ახლადგამწვანებულ ტერიტორიას ეწოდა „სიცოცხლის ხეივანი". ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილმა მოსახლეობამ, ისე ქალაქ თბილისის 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

ფონდი „გაამწვანე საქართველო" საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2013 წელს შეიქმნა და აქტიურად მონაწილეობს ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრასა და ტყე-პარკების შექმნაში.

განცხადება

წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია (კოდი 176) აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2017-2018 სასწავლო წლისთვის თეოლოგიის (კოდი 1760101) და ქრისტიანული ფსიქოლოგიის (კოდი 1760102) საგანმანათლებლო პროგრამებზე. კვალიფიკაცია — თეოლოგიის ბაკალავრი და ქრისტიანული ფსიქოლოგიის ბაკალავრი.

აბიტურიენტებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების სარეგისტრაციო სიაში 2017 წლის 31 მარტამდე, აგრეთვე უნდა წარმოადგინონ:

- ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი ატესტატი;
- პირადობის მოწმობა;
- ცნობა ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ;
- განცხადება.

თუ აბიტურიენტი წარმატებით დაძლევს ერთიანი ეროვნული გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ის დაიშვება სემინარიის შიდა გამოცდებზე, რომლებიც ჩატარდება 2017 წლის 31 აგვისტოდან შემდეგ საგნებში:

- საქართველოს ისტორია (ზეპირი + ტესტი);
- კატეხიზმო (ზეპირი)

საბუთები მიიღება ყოველდღე 11 სთ-დან 17 სთ-მდე ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის სამღვდელმთავრო რეზიდენციაში 2017 წლის 20 აგვისტომდე. მისამართი: ცაგერი, რუსთაველის ქ. 65.

თუ რაიმე შეკითხვა გაგიჩნდათ რეგისტრაციისას ან რაიმე სხვა საკითხთან დაკავშირებით, გთხოვთ დარეკოთ:

ტელ. 591-000-515 ან 599-533-154.

სწავლა უფასოა. სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლითა და კვებით.

გისურვებთ წარმატებას!

ცხადდება კონკურსი: „ნახატები ბიბლიურ თემებზე"

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარე-

„მსოფლიოში არ არსებობს ანალოგი იმისა, რომ მუსლიმური რელიგიის შეიხი პატრიარქთან მიდის, ხელზე ემთხვევა, დალოცვას სთხოვს და თავის წინამძღოლად აღიარებს...“

კავკასიის მუსლიმთა სულიერი ლიდერი სტუმრად საპატრიარქოში

21 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარმა ილია II-მ საპატრიარქო რეზიდენციაში მიიღო საქართველოში ვიზიტით მყოფი კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს სულიერი ლიდერი, შეიხ ულ ისლამ ალაჰშუქურ ფაშაზადე, თანმხლებ პირებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ ბაქოსა და აზერბაიჯანის ალექსანდრე (იშჩეინი) და ფაშაზადეს ოჯახის წევრები. შეხვედრას ესწრებოდნენ: თბილისი მერი, ბატონი დავით ნარმანია, ქართველი სასულიერო პირები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, სხვა ოფიციალური პირები. შედგა გულთბილი მეგობრული საუბარი. როგორც შეიხმა აღნიშნა, საქართველოში იგი პატრიარქის მოსანახულებლად ჩამოვიდა, რადგან გერმანიაში მის მოსაკითხად ჩასვლა ვერ მოახერხა. პატრიარქთან საუბრისას კავკასიის მუსლიმთა სულიერმა ლიდერმა აღნიშნა: „მინდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენ ჩვენი ოჯახისთვის წმინდანი ხართ. ამიტომ დღეს აქ ოჯახის წევრებთან ერთად მოვედი. მათ სურვილი გამოთქვეს, რომ გეამბორონ ხელზე და თქვენგან ლოცვა-კურთხევა მიიღონ. აქ დღეს არიან ჩემი ვაჟი, შვილიშვილი (რომელიც ჩემი სეხნია გახლავთ), ჩემი ასული და რძალი.“

შეიხმა ასევე ისაუბრა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობებზე და აღნიშნა: „მთელ მსოფლიოში არ არსებობს ანალოგი იმისა, რომ მუსლიმური რელიგიის შეიხი პატრიარქთან მიდის, ხელზე ემთხვევა, დალოცვას სთხოვს და თავის წინამძღოლად აღიარებს... ქართველი ხალხის და აქაური მუსლიმების გასაგონად მსურს ვთქვა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გახლავთ უიშვიათესი პიროვნება, რომელიც თავის კეთილ გავლენას ახდენს ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე...

შეიხ ულ ისლამ ალაჰშუქურ ფაშაზადემ კათოლიკოს-პატრიარქს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და აზერბაიჯანის პრეზიდენტისა და მისი მეუღლის მოკითხვა გადასცა.

დასასრულს, შეიხმა უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბაქოში მიიწვია, კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაციის 40 წლის იუბილეს საზეიმოდ აღნიშვნის მიზნით; კათოლიკოს-პატრიარქმა და შეიხმა გაცვალეს სამახსოვრო საჩუქრები.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სტუმრები სადღესასწაულო ბანკეტზე მიიპატიჟა.

მარიამ გაგუა

ქრონიკა. ინფორმაცია

აღკვეცა

7 აპრილს უბისის წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტერში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოს მელქისედეკის (ხაჩიძე) ლოცვა-კურთხევით იმავე მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მაკარიმ (გოცაძე) ბერად აღკვეცა უბისის მონასტრის მორჩილი **გიორგი არჯევანიძე** და სახელად **იოანე** უწოდა.

***

12 აპრილს მეორე სვირის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახ. ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მონაზვნად აღკვეცა სამონაზვნე **ნისიმე წიწილაშვილი** და სახელად **ნინო** უწოდა.

***

13 აპრილს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) ბერად აღკვეცა ზედა საქარის წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტრის წინამძღვარი, **დეკანოზი გიორგი იმნაძე** და სახელად **ადამი** უწოდა.

ხელდასხმა

7 აპრილს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახ. საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) მღვდლად დაასხა ხელი შავნაბადის წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვან მარკოზს (შოშიაშვილი).**

აღკვეცა

15 აპრილს მცხეთის წმინდა დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის ტაძარში მონასტრის მოძღვარმა **მღვდელმონაზონმა სერაფიმემ (ჯიქია)** მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილი **ელისაბედი (კვარაცხელია)** და სახელად **სოფიო** უწოდა.

სიმპოზიუმის პროგრამა:

1.არქიმანდრიტი ადამ ახალაძე. დედობა ტრანსდისციპლინური ცნებაა.

2.მონსენიორი ლივიო მელინა. ადამიანის შვილოსნობა – თეოლოგიური რეფლექსია.

3.ანასტასია ზაქარიაძე. დედობის ანთროპოლოგიურ-პერსონალისტური ჭრილი.

4.მამუკა გელაშვილი. დედაშვილური ურთიერთობანი: არაცნობიერი ფორმები და კულტურული გამოვლინებანი.

5.ნუგზარ ბარდაველიძე. დედა და დედობა ქართულ ფოლკლორში.

სიმპოზიუმის პირველი დღე სამეცნიერო დისკუსიით დასრულდა.

4 მაისს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მეშვიდე აუდიტორიაში მუშაობა გააგრძელა მეექვსე საერთაშორისო ბიოეთიკური სიმპოზიუმმა თემაზე „დედობა: სოციალური, ეთიკური, სამედიცინო, ბიოლოგიური, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და კულტურული ასპექტები".

სიმპოზიუმის მეორე დღე გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, არქიმანდრიტმა ადამ ახალაძემ. რექტორი მიესალმა საპატიო სტუმრებს, დამსწრე საზოგადოებას და შეაჯამა სიმპოზიუმის პირველი დღის მუშაობა. ამის შემდეგ მამა ადამმა საზოგადოებას წარუდგინა მონსენიორი ლივიო მელინა – რომის პაპის იოანე–პავლე მეორის სახელობის ცოლქმრობისა და ოჯახის შემსწავლელი ინსტიტუტის პრეზიდენტი, თეოლოგიისა და ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, რამდენიმე სამეცნიერო და თეოლოგიური აკადემიის წევრი.

უცხოელმა მეცნიერმა განავრცო სიმპოზიუმის პირველ დღეს წარმოდგენილი მოხსენება, რომლის თემა გახლდათ ადამიანის შვილოსნობა – თეოლოგიური რეფლექსია . მან ვრცლად ისაუბრა მშობლობის, ცოლქმრობისა და პროკრეაციის ბიოეთიკურ, ტრისტიანულ–ზნეობრივ და ფილოსოფიურ–ეთიკურ ასპექტებზე.

სამეცნიერო ფორუმის დასკვნითი ნაწილი გაფართოებულ დისკუსიას დაეთმო. მონსენიორმა ლივიო მელინამ ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს, რომელიც ძირითადად შეეხებოდა კათოლიკური ეკლესიის პოზიციას ხელოვნური რეპროდუქციული ტექნოლოგიების შესახებ.

წლევანდელი საერთაშორისო ბიოეთიკური თბილისური სიმპოზიუმი რიგით მეექვსეა. წინამორბედი სამეცნიერო ფორუმები, რომელთა ორგანიზატორებიც, აგრეთვე, ტრადიციულად გახლდნენ საქართველოს საპატრიარქო და კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაცია ამიერკავკასიაში, მიეძღვნა აბორტის, ევთანაზიის, ხელოვნური განაყოფიერების ტექნოლოგიების, სუროგატული დედობის, თანდაყოლილი დაავადებების, ოჯახისა და სხვა აქტუალურ ბიოეთიკურ პრობლემებს.

აღკვეცა

1 აპრილს ბერმუხას წმ. იოსებ კათალიკოსის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერმუხას წმ. მერკვირის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი **ალექსი ჩხოტუა** ბერად აღკვეცა (მცირე სქემა) და სახელად **იოაკიმე** უწოდა.

* * *

8 აპრილს ყინწვისის წმ. ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა იმავე მონასტრის მორჩილები: **ლევან იაშვილი** — სახელად უწოდა **ლაზარე; ზურაბ სულაბერიძე** — სახელად უწოდა **ბასილი; ნიკოლოზ სიგუა** — სახელად უწოდა **გაბრიელი.**

ხელდასხმა

7 აპრილს ქარელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა ბერმუხას წმ. მერკვირის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი იოაკიმე (ჩხოტუა).**

დაჯილდოება

6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე, ქაშვეთის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ დაჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები:

დეკანოზი დავით დელიბაშვილი — გამშვენებული ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი ლევან ჟღენტი — გამშვენებული ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით;

მღვდელი მიქაელ ვაჩნაძე — ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და აღიყვანა დეკანოზის ხარისხში;

საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების"

დირექტორის მოადგილე, მღვდელი მიქაელ მეკრავიშვილი — ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და აღიყვანა დეკანოზის ხარისხში;

მღვდელი გიორგი ჭუმბაძე — ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და აღიყვანა დეკანოზის ხარისხში.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

რევმატოლოგი — 16, 23 მაისს, 18.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 13 მაისს, 14.30 სთ.;

ნევროლოგი — 18 მაისს, 16.00 სთ.;

ნეიროქირურგი — 18 მაისს, 16.00 სთ.;

ეპილეფტოლოგი — 21 მაისს, 12.00-13.00 სთ.;

ალერგოლოგი — 22 მაისს, 16.00 სთ.

დერმატოლოგი — 25 მაისს, 13.00 სთ.;

ფთიზიატრი და პულმონოლოგი — 20 მაისს, 12.00-13.00 სთ.;

კარდიოლოგი — გ. ჩაფიძის სახელობის გულის ცენტრში დაგვიკავშირდით **5 99 57 65 31.**

ანგიოლოგი, ალერგოლოგის, სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ინფექციონისტისტ-სეფსისოლოგის, ოფთალმოლოგის, მამოლოგის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

ღონისძიებების ფარგლებში, თბილისში, სასტუმრო „ბილტმორში" გაიმართა დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ფორუმი, სლოგანით — „ძლიერი დიასპორა ერთიანი საქართველოსთვის".

ფორუმზე მიწვეული იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა:

„რამდენიმე წლის წინ მე მოგიწოდებდით, რომ დაბრუნებულიყავით სამშობლოში. ახლა მოგიწოდებთ – იყავით იქ, სადაც ბრძანდებით; მაგრამ ამავე დროს, იყავით სამშობლოში. ეს საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთვის. მე მინდა, მადლობა მოგახსენოთ იმ სულიერი თუ მატერიალური დახმარებისთვის, რომელსაც სამშობლოსთვის აკეთებთ. თქვენ უნდა დაგვეხმაროთ მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნაში. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენმა შვილებმა, რომლებიც მოღვაწეობენ და ცხოვრობენ უცხოეთში, არ დაივიწყონ ქართული ენა, ქართული კულტურა. ეკლესია-მონასტრები, რომლებიც შეიქმნა უცხოეთში, გახდა ცენტრები ჩვენი სულიერი, ქართული კულტურისა, შეიქმნა წრეები ქართული ცეკვის, სიმღერის, ქართული ენისა და ლიტერატურისა და ამაში მონაწილეობა უნდა მიიღოთ თქვენ... შეიძლება თქვენ ცხოვრობთ უცხოეთში, მაგრამ, ამავე დროს, თქვენი წინაპრების ძვლები, ფესვები არის აქ, საქართველოში და ეს არ უნდა დაივიწყოთ.

ღმერთმა დაგლოცოთ, მადლობელი ვართ იმისთვის, რასაც სამშობლოსთვის აკეთებთ. ღმერთმა ინებოს, რომ გამთლიანდეს საქართველო, დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო" — ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და დიასპორის წარმომადგენლებს სთხოვა, რომ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

სავედრებელი პარაკლისი სიონის ტაძარში აფხაზეთის დღეს

23 მაისი, წმინდა სვიმეონ კანანელის ხსენების დღე, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აფხაზეთის დღედ გამოცხადდა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში საღმრთო ლიტურგია და სავედრებელი პარაკლისები აღევლინა.

თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში პარაკლისი შეასრულეს: ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი), ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) და გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა).

მეუფე სტეფანეს ვულოცავთ ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას!

28 აპრილს მოსკოვის წმინდა ტიხონის სახელობის მართლმადიდებლურ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში შედგა ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი სტეფანეს (კალაიჯიშვილი) სადოქტორო დისერტაციის დაცვა თემაზე „წმინდა მაქსიმე აღმსარებელი საქართველოში". სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ნაშრომსა და 15-წლიან კვლევას მიეცა მაღალი შეფასება და მიტროპოლიტ სტეფანეს მიენიჭა ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის საორგანიზაციო ჯგუფი და გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია ვულოცავთ მეუფე სტეფანეს ამ დიდ აღიარებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს მის მსახურებაში!

დაჯილდოება

25 მაისს, თბილისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საზეიმო წირვის შემდეგ დააჯილდოვა აღნიშნული ტაძრის მღვდელმსახურნი:

დეკანოზი გიორგი გიუტაშვილი — გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით;

მღვდელი ალექსი გელაშვილი — ოქროს ჯვრით და აღიყვანა დეკანოზის ხარისხში;

მღვდელი ლუკა მიქაძე — ოქროს ჯვრით და აღიყვანა დეკანოზის ხარისხში.

ხელდასხმა

25 მაისს, ამაღლების დღესასწაულზე, ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) დიაკვნად აკურთხა ცაგერის წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის სემინარიის კურსდამთავრებული ირაკლი ონიანი.

ბინება, სადაც განმარტებულია, რომ საავტორო უფლება საქართველოს საპატრიარქოს ეკუთვნის. შევნიშნავთ იმასაც, რომ კომპანია TiVi მედია-სთან თანამშრომლობს ქართული ტელეარხი „TV პირველი". როგორც „TV პირველის" წარმომადგენელმა განაცხადა, ჩანაწერის დაბლოკვა მათგან დამოუკიდებლად მოხდა, რომ ეს გაუგებრობის შედეგია და მუშაობენ თავის პარტნიორთან ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

ამჟამად ჩანაწერის მოსმენა კვლავ შესაძლებელია ჩვენს საიტზე.

იმედს ვიტოვებთ მსგავსი ფაქტი მომავალში აღარ განმეორდება.

http://patriarchate.ge

ხელდასხმა

4 ივნისს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი იმავე ტაძრის **დიაკვან პავლე ცერცვაძეს**.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის განცხადება

ა(ა)იპსაქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია 2017—2018 წლისთვის აცხადებს მიღებას დოქტორანტურაში შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- **ბიბლეისტიკა**

მოდული ბ) ახალი აღთქმა - პროგრამის ხელმძღვანელი: თეოლოგიის დოქტორი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი.

- **ლიტურგიკა** - პროგრამის ხელმძღვანელი: თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, არქიდიაკონი დემეტრე (დავითაშვილი).
- **კანონიკური სამართალი** - პროგრამის ხელმძღვანელი: თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი გიორგი ანდრიაძე.
- **ეკლესიის ისტორია**

მოდული ბ)საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია - პროგრამის ხელმძღვანელი: თეოლოგიის დოქტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მართლმადიდებლური თეოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე პირს. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია. სწავლება უფასოა.

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს რექტორის სახელზე შეაქვს განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:

1. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. თეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
4. მოძღვრის რეკომენდაცია;
5. შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის

შუამდგომლობა და მისი რეცენზია დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ რეფერატზე ან გამოქვეყნებულ ნაშრომზე;

6. 2 ფოტოსურათი (3×4) დისკთან ერთად.

დოქტორანტობის კანდიდატის საბუთების მიღების საკითხს წყვეტს თსას-ის სამეცნიერო საბჭო.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. ბიბლეისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

ა) ძველი აღთქმა (ზეპირი);

ბ) ახალი აღთქმა (ზეპირი);

ბ) ძველი ბერძნული ენა (წერითი).

2. ლიტურგიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

ა) ლიტურგიკა (ზეპირი);

ბ) ძველი ბერძნული ენა (წერითი).

3. კანონიკური სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

ა) საეკლესიო (კანონიკური) სამართალი (ზეპირი);

ბ) ძველი ბერძნული ენა (წერითი).

4. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო

პროგრამა:

ა) ეკლესიის ისტორია (ზეპირი);

ბ) საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (ზეპირი);

გ) ძველი ბერძნული ენა (წერითი).

ყველა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველები გამოცდას აბარებენ ერთ-ერთ ევროპულ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ახალი ბერძნული, რუსული და სხვ.). უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან 2 დონის დამადასტურებელი დიპლომის ან სერთიფიკატის მქონე პირები.

საბუთები მიიღება 2017 წლის 4 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით, 10 სთ-დან 15 სთ-მდე, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურაში

საგანმანათლებლო ცენტრში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი დარბაზები, კომპიუტერული აუდიტორიები და ბიბლიოთეკა განთავსდება.

კათოლიკოს-პატრიარქი აღმოსავლეთ პარტნიორობის საგანგებო დავალებათა ელჩებს შეხვდა

ა.წ. 11 ივლისს საქართველოს საპატრიარქოში იმყოფებოდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის საგანგებო დავალებათა ელჩები. საუბარი შეეხო საქართველოს დარღვეულ ტერიტორიული მთლიანობის საკითხს და ითქვა იმ გზებსა და საშუალებებზე, რაც ამ პრობლემის მოგვარების საშუალებად შეიძლება იქცეს.

ელჩებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისადმი და ხაზი გაუსვეს ეკლესიის ავტორიტეტსა და მნიშვნელობას საზოგადოებისათვის.

სამების საკათედრო ტაძარში 49-ე საყოველთაო ნათლობა ჩატარდა

ა.წ. 13 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ რიგით 49-ე ნათლობა ჩაატარა. მისი უწმინდესობა 500-მდე ბავშვის ნათლია გახდა. დღესდღეობით პატრიარქს უკვე 33 000-მდე ნათლული ჰყავს.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება 7.07.2017

ცნობამ ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" სასაზღვრო ზოლის გადმოწევის შესახებ აღაშფოთა საქართველოს მოსახლეობა. სამწუხაროდ, უკვე არაერთხელ გავხდით მოწმე მსგავსი ქმედებისა, ვინაიდან ჩვენის მხრიდან ძალისმიერი წინააღმდეგობის გაწევა შეიძლება დიდი პროვოკაციის მიზეზად იქცეს, აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ძალისხმევის გააქტიურება, რომ აღნიშნული პროცესი შეჩერდეს და გამოსწორდეს.

შევთხოვთ ღმერთს, დაიცვას ჩვენი ქვეყანა და აღუდგინოს მას თავისი საზღვრები.

დაჯილდოება

12 ივლისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახ. საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა გლდანის „ლომისის" წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი დავით ნოზაძე.**

* * *

13 ივლისს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახ. საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა საქართველოს ეკლესიის სამღვდელოება:

არქიმანდრიტის წოდებით: მარგვეთისა და უბისის ეპარქიის, დაბა ხარაგაულის წმ. ანდრია მოციქულის სახ. სამლოცველო სახლის წინამძღვარი, **ილუმენი ანტონი (სულთანიშვილი);**

არქიმანდრიტის წოდებით: ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის, ციხისჯვრის წმ. თეოდორე ტირონის სახ. მამათა მონასტრის წინამძღვარი, **ილუმენი გაბრიელი (ჯამბაზიშვილი);**

მიტრით და გამშვენებული ჯვრით — მარგვეთისა და უბისის ეპარქიის, ზესტაფონის ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი კონსტანტინე შოთაძე;**

გამშვენებული ჯვრით — ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის, ბაკურიანის მაცხოვრის შობის სახ. საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი საბა სიხარულიძე;**

ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით — ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის, ქვაბისხევის წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი ექვთიმე (ჩიხლაძე);**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის, ქ. ბორჯომის წმ. თამარ მეფის სახ. ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი ალექსანდრე კურტანიძე.**

* * *

23 ივლისს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით მიტრით დააჯილდოვა ეპარქიის სამღვდელოება:

ზესტაფონის წმ. ნინოს სახ. ტაძრის წინამძღვარი, **დეკ. მელიტონ რევიშვილი;** ზესტაფონის მაცხოვრის შობის სახ. სამლოცველო სახლის წინამძღვარი, **დეკანოზი გიორგი კირკიტაძე;** დილიკაურის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძრის წინამძღვარი, **დეკ. ილია საცერაძე.**

აღკვეცა

6 ივლისს მცხეთის წმინდა დიდმოწამე ეკატერინესა და წმინდა მოციქულთასწორ ოლღას სახელობის დედათა მონასტრის სულიერმა მოძღვარმა მღვდელმონაზონმა **სერაფიმემ (ჯიქიამ)** მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის წევრი **ხათუნა (ლაბაძე)** და სახელად **მარინე** უწოდა.

EPER-ის ფინანსური მხარდაჭერით, მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალურ ქსელთან, სომხეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „სიუნიკთან" და აზერბაიჯანელ ქალთა კავშირთან ერთად ახორციელებს პროექტს – „ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში", რომელიც ითვალისწინებს 16-დან 18 წლამდე ასაკის ქართველი, აფხაზი, სომეხი და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოზარდების აქტიურ დასვენებას საზაფხული ბანაკებში, სადაც მათთვის შემეცნებითი-გასართობი და სპორტული ღონისძიებები ეწყობა.

სამშვიდობო პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდებს შორის კულტურათა ურთიერთგაცვლა, კონფლიქტების მართვის უნარ-ჩვევების გაცნობა, ტოლერანტობისა და მეგობრული გრძნობების გაღვივება.

ეს პროექტი უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება და საუკეთესო შედეგები აქვს.

აღკვეცა

6 ივლისს ბერმუხას წმ. იოსებ კათალიკოსის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა (მცირე სქემა) ბერმუხის წმ. მერკვირის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილები: **ლევან ბრაგვაძე** — სახელად ეწოდა **ლონგინოზი** და **ჯემალ კაპანაძე** — სახელად ეწოდა **იოსები** (წმ. იოსებ კათალიკოსის სახელობაზე).

***

7 ივლისს წყაროსთავის წმ. ანთიმოზ ივერიელის სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა (მცირე სქემა) იმავე მონასტრის მორჩილი **ანატოლი კოპალიანი** და სახელად **აბრაამი** უწოდა.

***

11 ივლისს ავჭალის წმ. პეტრე მოციქულის ჯაჭვთა სახ. ტაძარში არქიმანდრიტმა ანდრიამ (კბილაშვილი) ბერად აღკვეცა **დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე** და სახელად **პეტრე** უწოდა.

***

30 ივლისს ბანას წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა (დიდი სქემა) იმავე მონასტრის **ბერდიაკვანი ზაქარია (მარქარაშვილი)** და სახელად **პორფირი** უწოდა.

***

19 აგვისტოს წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის დედათა სკიტის ტაძარში ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მონაზვნად აღკვეცა (მცირე სქემა) იმავე სკიტის მორჩილი **ეკატერინე ამყოლაძე** და სახელად **ელენე** უწოდა (წმ. ელენე დედოფლის სახელზე).

ხელდასხმა

10 აგვისტოს ბანას წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **სქემბერ-დიაკვან პორფირის (მარქარაშვილი)**.

დაჯილდოება

30 ივლისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა დასავლეთ ევროპის ეპარქიის მღვდელმსახური, მილანის წმ. თამარ მეფის სახ. ქართული სამრევლოს წინამძღვარი, **არქიმანდრიტი კირიონი (მაჩაიძე)**.

***

19 აგვისტოს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

მეორე გამშვენებული ჯვრით — რომის წმ. ანდრია მოციქულის სახ. ქართული სამრევლოს წინამძღვარი, **არქიმანდრიტი იოანე (ხელაია)** და ფლორენციის წმ. ნინოს სახ. ქართული სამრევლოს წინამძღვარი, **არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე)**.

მიტრით — დიღმის მთავარანგელოზთა სახ. ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი გაბრიელ გიგაური;**

გამშვენებული ჯვრით — ვარკეთილის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ანდრია აფხაზიშვილი;**

***

28 აგვისტოს თბილისის სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

არქიმანდრიტის წოდებით — მლეთის „ლომისის" წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტრის **ილუმენი დავითი (კემულარია);**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — თბილისის წმ. ჯვრის მამის სახ. ტაძრის მღვდელმსახური, **მღვდელი იოანე ოჩიგავა;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ვაშლიჯვრის ჯვართამაღლების სახ. ტაძრის მღვდელმსახური, **მღვდელი გიორგი ჩანტლაძე.**

***

17 სექტემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა ავლაბრის წმ. მარინეს სახ. ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი კონსტანტინე ხუროძე.**

შემდეგ სიწმინდე სხვა ეპარქიებსაც მოივლის.

ყველა ქეთევანს, სრულიად საქართველოს ვუ-ლოცავთ დიდმოწამის წმინდა ნაწილის შემობრ-ძანებას სამშობლოში.

სამების საკათედრო ტაძარში 50-ე საყოველთაო ნათლობა ჩატარდა

ა.წ. 21 სექტემბერს სამების საკათედრო ტა-ძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რიგით 50-ე ნათლობა ჩაატარა. მისი უწმინდესობა 600-ზე მეტი ბავშვის ნათლია გახ-და. დღესდღეობით პატრიარქს 33000-ზე მეტი ნათლული ჰყავს

სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარის ვიზიტი საქართველოს საპატრიარქოში

ა.წ. 25 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტა-რესმა ილია II-მ სომხეთის რესპუბლიკის ეროვ-ნული ასამბლეის თავმჯდომარე, ბატონი არა ბაბლოიანი თანმხლებ პირებთან ერთად მიიღო. შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა და სა-უბარი შეეხო ორ ქვეყნას შორის არსებულ ისტო-რიულ-კულტურული კავშირების მნიშვნელობას და მის განმტკიცებას.

საერთაშორისო კონფერენცია ფოთში

22-23 სექტემბერს ფოთში, ახალი საქართვე-ლოს უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ფილოსოფია და ქრისტიანობა - ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია". კონფერენცი-ამ დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია.

დაჯილდოება

21 სექტემბერს სრულიად საქართველოს კა-თოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტა-რესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მარგვეთი-სა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩი-ძე) ეკლესიაში ერთგული სამსახურისთვის დაა-ჯილდოვა ეპარქიის სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — საქარის (გულბან-დიანის) წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტრის წი-ნამძღვარი, **იღუმენი ადამი (იმნაძე);** ნებოძირის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვარი, **დეკა-ნოზი მირიან რამიშვილი;** ზესტაფონის წმ. ნი-კოლოზის სახ. ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი დავით გიორგაძე;** ზესტაფონის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი კირი-ლე გორგოძე.**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ზესტაფონის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახ. ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი სი-მონ მჭედლიძე.**

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ბათუმისა და ლაზეთის მიტრო-პოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) გარდაიცვალა ყოფილი მეუღლე, მაია ხიდაშელი და სამძიმარს უცხადებს მიტროპოლიტ დიმიტრის და განსვენე-ბულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლადშესვენებული **მაია.**

***

საპატრიარქოს პრესცენტრი, მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 23 აგვისტოს გარდაიცვა-ლა მცხეთა-თბილისის ეპარქიაში, სახლში მცხოვ-რები **მონაზონი პელაგია (კახიანი)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენოს ახლადშესვენებული **მონაზონი პელაგია.**

***

საპატრიარქოს პრესცენტრი, მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ძეგვის წმინდა გი-ორგი მთაწმინდელის სახ. მონასტრის წინამძღვ-რის ილუმენია მარიამის (ჯაფარიძე) დედა მონა-ზონი ელენე (ჯიბუტი) და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენონ ახლადშესვენებული **მონაზონი ელენე.**

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს გამომცემლობის უფროსს, ქალბატონ გვანცა კოპლატაძეს გარ-დაეცვალა ძმა, ბადრი კოპლატაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლადშესვენებული **ბადრი.**

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს რადიო „ივერიის" თანამშრომელს, ცნობილ ტელეწამყვანს, ბატონ თენგიზ ნათაძეს გარდაეცვალა შვილი, დავით ნათაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლადშესვენებული **დავითი.**

ქრონიკა. ინფორმაცია.

მილოცვა

14 ოქტომბერს ქაშვეთის წმინდა გიორგის ტაძრის დეკანოზ ელიზბარ ოდიშვილის დეკანოზობის 30 წლისთავი სრულდება. საპატრიარქოს პრესცენტრი ულოცავს ღვაწლმოსილ მოძღვარს ამ საიუბილეო თარიღს და უსურვებს მრავალჟამიერ სიცოცხლესა და სულიერ მხნეობას მრევლისა და დედა ეკლესიის საკეთილდღეოდ.

ხელდასხმა

27 აგვისტოს სარკინეთის წმ. შიო მღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი სანებელის წმ. ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვან სერაფიმეს (გუდაძე).**

მღვდელ-მონაზონი სერაფიმე ზემო შუანოს წმ. ანტონი დიდის სახ. მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

***

28 აგვისტოს ქვათეთრის ყოველთა ქართველთა წმიდათა სახ. მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა იმავე მონასტრის მორჩილი **ზაქარია (ჩოხელი)** და სახელად **იოსები** უწოდა.

***

29 აგვისტოს იმერხევის ღვთისმშობლის შობის სახ. მამათა მონასტერში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი იმავე მონასტრის **ბერ-დიაკვან დიმიტრის (კუბეცია).**

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 4 ოქტომბერს გარდაიცვალა საბერიოს წმ. გაბრიელ მცირის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი გობრონი (ქიტიაშვილი).**

გთხოვთ, ლოცვებში მოიხსენოთ ახლადშესვენებული **ბერი გობრონი.**

***

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს თამანშრომელს, იგორ ელისეევს გარდაეცვალა ბიძა, ცნობილი პუბლიცისტი და პორტალ pravoslavie.ru-ს ავტორი, ვალენტინ ნიკიტინი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ვალენტინის სული.

ხელდასხმა

12 ნოემბერს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა იმავე ტაძრის სტიქაროსანი **ლაშა ჭიჭინაძე** და სახელად **ლაზარე** უწოდა.

ინფორმაცია ივერიის ღვთისმშობლის ხატთან დაკავშირებით (31.10.2017)

შაბათს, 29 ოქტომბერს, სიონის საკათედრო ტაძრიდან მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიაში წაბრძანდა ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ათონის მთაზე დაიწერა ჰუჯაბის მონასტრისათვის, თბილისში კი 17 წლის წინ ჩამობრძანდა; ახლა იგი კვლავ თავის ეპარქიას დაუბრუნდა.

სიონის ეკლესიაში მის ადგილზე დაბრძანდა კვლავ ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც აფხაზი მეცენატის შეკვეთით ახლახან შეიქმნა და რომელიც, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ სოხუმში წაბრძანდება. მისი სახელია: „ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი აფხაზეთისთვის".

ხატის პერანგზე გამოსახულნი არიან: თორმეტი მოციქული (მათ შორის, რა თქმა უნდა, ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი) და ის წმინდანები, რომელთა ცხოვრებაც მეტ-ნაკლებად უკავშირდება საქართველოს და მის ნაწილს, აფხაზეთს. კერძოდ: წმინდა ნინო, წმინდა გიორგი, წმინდა იოანე ნათლისმცემელი, წმინდა იოანე ოქროპირი, წმინდა ვასილისკო, წმინდა გრიგოლ ხანძთელი.

ხატი დაწერა ქ-ნმა ეკატერინე ჩხიკვაშვილმა.

ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსების ვიზიტი კათოლიკოს-პატრიარქთან

ა.წ. 13 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ჰანს-იოახიმ კიდერლენი ეწვია. იგი ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას 9 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და კათოლიკოს-პატრიარქს გამოსამშვიდობებელი ვიზიტით ესტუმრა.

ეპისკოპოსმა ჰანს-იოახიმ კიდერლენმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ახალი ეპისკოპოსი — მარკუს შოხი წარუდგინა, რომელმაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად სოციალური და საქველმოქმედო თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვა.

ათონის მთის ფოტოგამოფენა საქართველოში

საბერძნეთის საელჩო საქართველოში, აღნიშნავს რა საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25-ე წლისთავს, 17 ნოემბერს, 18:00 საათზე, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში უმასპინძლებს ფოტოგამოფენის ოფიციალურ გახსნას, რომლის სახელწოდებაცაა „ათონის მთის ფოტოგრაფიული გზამკვლევი 1969-2001" და გაგრძელდება 27 ნოემბრამდე.

ათონის მთა, სადაც ერთმანეთს ერწყმის წარმავალი და მარადიული, წარმოადგენს ორი ხალხის საერთო სარწმუნოებისადმი ღვთიურ ძღვენს მისი ყველაზე წმიდა გამოხატულებით — სამონასტრო ცხოვრებითა და ასკეტიზმით. ამავე დროს, ეს არის მართლმადიდებლური სარწმუნოების როლის შეხსენება ქართული და ბერძნული იდენტობის ჩამოყალიბებაში.

„ათონის მთის ფოტოგრაფიული გზამკვლევი" დაწესდა ათენის ბენაკის მუზეუმში 2006 წლის ზაფხულში. მას შემდეგ მან მოიარა მთელი მსოფლიო და პირველად ეწყობა საქართველოში. იგი ითვლის 50 რჩეულ ფოტოს, რომელიც კოსტას ბალაფასმა გადაიღო ათონის მთაზე 1969-2001 წლებში. ამ სამუშაოს შესრულება შესაძლებელი გახდა წმ. სიმონ-პეტრეს მონასტრის ბერის, იუსტინეს მიერ გაწეული დახმარების წყალობით.

კოსტას ბალაფასი არის ფოტოგრაფიული ხელოვნების უდიდესი ოსტატი და ომისშემ-

წმინდა იოანე ოქროპირისთვის სიმშვიდე ნიშნავს შფოთისა და გაღიზიანებისაგან შორს ყოფნას.

მესამე მოხსენიებული სათნოება სულგრძელობაა, რომლის ფლობა ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, დაითმინოს უსიამოვნება, შეურაცხყოფა და ცილისწამება. მრავლისდამთენია ღმერთი ჩვენთისთანა ცოდვილებთან მიმართებით და ჩვენც შემწყნარებულნი უნდა ვიყოთ ერთმანეთთან და ეს ორმხრივი დათმობა ადამიანური სისუსტისადმი არის მეოთხე სათნოება — სიყვარული. მოციქული მოგვიწოდებს — თავს-იდებდით ურთიერთარს სიყუარულითა. თითქოს რა ჩვეულებრივია ეს სიტყვა — სიყვარული, რომლითაც სხვადასხვაგვარი ადამიანური ემოცია გამოიხატება! ვსაუბრობთ სიყვარულზე და ხშირად ვგულისხმობთ რაღაც მსუბუქ სიყვარულსა თუ ვნებას, ჩვეულებრივ ოჯახურ თუ მეგობრულ მიჯაჭვულობას, ასევე დიდი პათოსით ვლაპარაკობთ სამშობლოს, ერის, ხელოვნების სიყვარულზე. მართლაც რომ აღურაცხელი ვარიაციებით ვიყენებთ ამ სიტყვას, მაგრამ ეს არ არის ის, რასაც ახალაღთქმისეული სიყვარული ჰქვია.

ქრისტეს მიერ ნაქადაგები სიყვარული, როგორც უმაღლესი სათნოება, არ არის რაღაც „ბუნებრივი" ცოდვილი სამყაროსთვის. უფრო მეტიც, ის უბრალოდ შეუძლებელია ამ სამყაროში. მაგრამ ის, რაც შეუძლებელია კაცთათვის, შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ (მარკ. 10, 27). ქრისტიანული სიყვარული არის სული წმინდის ძღვენი. ამ ძღვენს ვიღებთ რწმენით, საიდუმლოებებით და ჩვენზეა დამოკიდებული, გავზრდით თუ არა ამ მადლს; ეფესელთა მიმართ ეპისტოლე მოგვიწოდებს, რომ უნდა ვეცადოთ, დავიცვათ იგი, როგორც ის საკვრელნი, რომელიც გვაერთიანებს ერთ სხეულად, რომელშიც არ არის მტრობა, განყოფა, მაგრამ მეფობს თავად ქრისტე, მშვიდობაი ჩვენი (ეფ. 2, 14).

ამაღლებულია ეპისტოლის სიტყვები ერთობის შესახებ, რომლისკენაც მთელი კაცობრიობა და სამყაროა მოწოდებული. ადამიანების ძალისხმევა, შექმნან ერთიანი და დაურღვეველი სამყარო, როგორც ისტორიიდან ჩანს, შეუძლებელია. ერთობა, როგორც სიყვარული — ღვთის საჩუქარია და ეკლესიაც, როგორც ქრისტეს სხეული, თავისი მთლიანობითა და ერთადერთობით ხდება სიცოცხლისმომნიჭებელი სულიწმინდის მადლით. რამეთუ ერთითა სულითა ჩუენ ყოველთა ერთისა მიმართ გუამისა ნათელ-ვიღეთ, გინა თუ ჰურიათა, გინა თუ წარმართთა, გინა თუ მონათა, გინა თუ აზნაურთა და ყოველთავე ერთისა მიმართ სულითა გვისუამს (1 კორ. 12, 13). ერთ სულს მიჰყავს ქრისტიანი ერთი მიზნისკენ, რაც გვანიჭებს ერთიან სასოებას აღდგომისა, უკვდავებისა, მარადიული ცხოვრებისა და უჭკნობი დიდებისა. ერთი უფალი იესო ქრისტე მოგვიწოდებს და გვაერთიანებს ერთიან სხეულში, ერთიან რწმენაში, ახალი შობითა და ერთი ნათლობით. ასე ხორციელდება მაკურნებელი შემობრუნება აურაცხელი ცრუ ღმერთებიდან (1. კორ. 8, 5-6) ერთი ღმერთისა და ყოველთა მამისაკენ, ანუ ყველაზე აღმატებულისკენ.

მოამზადა
ნინო გაგოშაშვილმა

ქრონიკა. ინფორმაცია.

დაჯილდოება

19 ნოემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახ. საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისთვის დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

არქიმანდრიტის წოდებით — იღუმენი სერგი (კურცხალაძე);

მიტრით — დეკანოზი დავით შენგელია; დეკანოზი გიორგი უშიკიშვილი; დეკანოზი გიორგი რაზმაძე;

გამშვენებული ჯვრით — დეკანოზი ილია ჩაკვეტაძე;

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მღვდელი გიორგი შაშვიაშვილი, მღვდელი იოანე კვანჭიანი და მღვდელი გოჩა წინილაშვილი.

მილოცვა

20 ნოემბერს საპატრიარქოს დედათა მონასტრის მონაზონ პარასკევას (გოცირიძე) დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. იგი ათეულობით წელია ემსახურება დედაეკლესიას. ვულოცავთ დედა პარასკევას ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ღვთის წყალობასა და დღეგრძელობას.

***

19 ნოემბერს საპატრიარქოს მებაღეს – სოლომონ ცხოვრებაშვილს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. იგი ორ ათეულ წელზე მეტია ემსახურება დედა ეკლესიას. ვულოცავთ ბატონ სოლომონს ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

„უწმინდესის გადაწყვეტილება იყო ყველასთვის სრულიად მოულოდნელი. შეიძლება იყოს განსხვავებული აზრი, მაგრამ უწმინდესს სრული უფლება აქვს ამგვარი გადაწყვეტილება მიიღოს... ასე ინება უწმინდესმა და ეს გააკეთა. და რას უკავშირდება მისი ეს გადაწყვეტილება, ვერ გეტყვით..." ჟურნალისტების კითხვაზე, თუ რა უფლებამოვალეობებს შეასრულებს ის საპატრიარქოში პატრიარქის მოსაყდრის სტატუსით, მეუფე შიომ უპასუხა: „ჩვენ ველოდებით მის უწმინდესობას. ის ნაბრძანებულია ბათუმში. რომ ჩამოვა, მერე დააკონკრეტებს მოსაყდრის ვალდებულებას, ამიტომ კომენტარისგან თავს შევიკავებ".

ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 51-ე საყოველთაო ნათლობა ჩატარდა

ა.წ. 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ რიგით 51-ე საყოველთაო ნათლობა ჩაატარა.

ამ დღეს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 600-ზე მეტი ბავშვის ნათლია გახდა.

დღესდღეობით პატრიარქს უკვე 34 000-მდე ნათლული ჰყავს.

აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქი აჭარის 30-ზე მეტი მკვიდრის ნათლიაც გახდა.

გიორგობა კახეთში

23 ნოემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ისტორიულ ქართულ კუთხეში - საინგილოში, კახის წმინდა გიორგის ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) სამღვდელოებასთან ერთად სადღესასწაულო წირვა აღავლინა, რომელსაც ადგილობრივი ქართველები, დედოფლისწყაროდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩასული მომლოცველები დაესწრნენ. მოგვიანებით მეუფე დიმიტრიმ სამღვდელოებასთან და მრევლთან ერთად ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარი მოილოცა და დიდმოწამე გიორგის სავედრებელი პარაკლისი გადაიხადა.

ხელდასხმა

26 ნოემბერს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახ. საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან **გაბრიელ აბულაძეს.**

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გურჯაანისა და ველისციხის ეპარქიის მღვდელმსახურს, **ზეგაანის მონასტრის წინამძღვარს, მღვდელ-მონაზონ სელაფიელს (სულამანიძე) გარდაეცვალა დედა — მარიამი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მარიამის სული.

ილოცეთ და შეეწიეთ — გადაარჩინეთ ბავშვის სიცოცხლე

9 წლის ტატო ჯუღელს თავის ტვინზე აღმოაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე და თითქმის ნახევარი თავი არის დაფარული ამ ავადსახსენებელი სენით.

თურქეთში ჩატარდა ურთულესი ოპერაცია, ამოიკვეთა სიმსივნური წანაზარდები. ექიმების თქმით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. კვლევის შედეგების მიხედვით შესაძლებელია დაიგეგმოს განმეორებითი ოპერაცია, მაგრამ ფინანსური მდგომარეობის გამო ბავშვი განერეს საავადმყოფოდან და თურქეთის ერთ-ერთ სასტუმროში იმყოფება, კვლევებისა და რეანიმაციის დავალიანებას დაემატა ოპერაციის ღირებულება და ჯამში ტატო ჯუღელის დავალიანება აჯიბადემის (ACIBADEM) კლინიკაში შეადგენს 30 000 $.

9 წლის ტატო მთელი ძალებით ებრძვის უსწრაფესად პროგრესირებად სიმსივნეს და ჩვენი მოწყალების იმედადაა დარჩენილი.

საქართველოს ბანკის ანგარიში:
GE37BG000 0000897167500GEL .
ბავშვის მამა ჯუღელი ალექსანდრე
ტ. 598111 553
პ/ნ 18001006370 დაბადების თარიღი
29/04/1980

დენტმა ვაჟა ლორთქიფანიძემ, ცნობილმა ექიმმა დავით გაგუამ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა კახაბერ კორძაიამ და სხვებმა.

შეხვედრას უძღვებოდა დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარე თამარ ჩიბურდანიძე. მან ტელეხიდით ქართველი ემიგრანტები ჩართო ესპანეთიდან და შვედეთიდან. ბარსელონადან კათოლიკოს-პატრიარქს და ფორუმის მონაწილეებს მიესალმნენ არქიმანდრიტი ლუკა (ფალავანდიშვილი) და მისი საკვირაო სკოლის პატარა ქართველები. შვედეთიდან კი — ლელა კუხიანიძის ანსამბლი „ნერგები".

ამ შეკრებას ესწრებოდნენ: კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, — სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი), ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი), თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, საქართველოში მოქმედი უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, პედაგოგები, მრავალშვილიან დედათა გაერთიანების წარმომადგენლები, ფერეიდნელი ქართველები და სხვანი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეხვედრა მრევლთან

გაცნობებთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით, სამების ახალგაზრდულ ცენტრში სხვადასხვა აქტუალურ თემაზე ყოველკვირეულად მიმდინარე საუბრები ამიერიდან, შაბათის ნაცვლად, ჩატარდება ხუთშაბათობით, 18:00ზე.

მომდევნო შეკრება გაიმართება ა.წ. 21 დეკემბერს, 18:00-ზე.

საუბრის თემა: ნარკოპოლიტიკა საქართველოში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ნატოს სამეკავშირეო ოფისის წარმომადგენელს შეხვდა

ა.წ. 14 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის წარმომადგენელი ბატონი კრისტიან კოკვიკი ესტუმრა. მიღებას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, მიტროპოლიტი შიო (მუჯირი), ქორეპისკოპოსი მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა) და მიტროპოლიტი საბა (გიგიბერია).

ვიზიტის ინიციატორი და ორგანიზატორი „კავშირი 21-ე საუკუნე" იყო (ხელმძღვანელი პაატა გაჩეჩილაძე). შეხვედრა გაცნობით ხასიათისა იყო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დოქტორ ჩარლზ ჰობლითს შეხვდა

ა.წ. 15 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს ეწვია თბილისში საერთაშორისო ბაპტისტური „ეკლესიის" ხელმძღვანელი დოქტორი ჩარლზ ჰობლითსი. შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა და გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

დახმარება სოციალურად დაუცველებს

ა.წ. 16 დეკემბერს, დმანისისა და დიდი ბრიტანეთის მთავარეპისკოპოსის, მეუფე ზენონის კურთხევით, ლონდონის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვრის არქიმანდრიტ დოროთესა (ბარბაქაძე) და ქართველი მრევლისაგან დახმარება გაეწიათ **ხურვალეთის მოხუცებულთა თავშესაფარს „სახლი საზღვრებს გარეშე"**. ამ თავშესაფარს ასევე აღმოუჩინა დახმარება ამერიკისა და კანადის ეპისკოპოსმა საბამ (ინნკირველი).

http://patriarchate.ge

აღკვეცა

18 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, ბერად აღკვეცეს ქაშვეთის დეკანოზი მამა ღვთისო შალიკაშვილი და არქიმანდრიტი საბა უწოდეს.

ხელდასხმა

15 დეკემბერს სოფ. ზარიძეების წმ. გიორგის სახელობის ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მედავითნე **გიორგი მაჩურიშვილი**.

მონაზვნად აღკვეცა

15 დეკემბერს თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) მონაზვნად აღკვეცა თიანეთის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებული დედათა მონასტრის წევრი, **სამონაზვნე დარია ჩაკვეტაძე** და საწელად **ანა** უწოდა.

ილოცეთ და შეეწიეთ — გადაარჩინეთ ბავშვის სიცოცხლე

9 წლის ტატო ჯუღელს თავის ტვინზე აღმოაჩნდა ავთვისებიანი სარკომა და თითქმის ნახევარი თავი არის დაფარული ამ ავადსახსენებელი სენით.

თურქეთში ჩატარდა ურთულესი ოპერაცია, ამოიკვეთა დაავადებული წანაზარდები. ექიმების თქმით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.

ქრონიკა. ინფორმაცია.

შეხვედრები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან

ა.წ. 20-21 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი, ბატონი კრისტიან ურსე, ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი, ბატონი უილიამ ლაჰიუ და სომხეთის რესპუბლიკის ელჩი, ბატონი რუბენ სადოიანი ეწვივნენ.

სტუმრებმა მის უწმინდესობას აღსაყდრებიდან 40 და დაბადებიდან 85 წლის იუბილე მიულოცეს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მათ მადლობა გადაუხადა და ბედნიერი შობა-ახალი წელი უსურვა.

აღკვეცა

18 დეკემბერს ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის სახ. საკათედრო ტაძარში ნიკორწმინდელმა ეპისკოპოსმა ვახტანგმა (ლიპარტელიანი) ბერად აღკვეცა: მორჩილი **თორნიკე ჩიკვილაძე** — სახელი უწოდა **ელისე**; მორჩილი **არჩილ გელაშვილი** — სახელად უწოდა **აბიბოსი**; მორჩილი **გიორგი მარჩილაშვილი** — სახელად უწოდა **საბა**; მორჩილი **გიორგი აბაკელია** — სახელად უწოდა **ნიკოლოზი.**

იმავე დღეს **აკაკი გოცირიძე** მორჩილის კაბით შეიმოსა.

ხელდასხმა

19 დეკემბერს სანზონის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობაშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **ლაშა ღვინიანიძე** და სახელად **ლაზარე** უწოდა.

იუბილე

საპატრიარქოს მებაღეს სოლომონ ცხოვრებაშვილს 85 წელი შეუსრულდა. „საპატრიარქოს უწყებანი" ულოცავს მას ამ ღირშესანიშნავ თარიღს და დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უსურვებს.

საგუთეგის მიღება 52-ე ნათლობისათვის

იწყება 52-ე ეტაპი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიერ ახალდაბადებული მესამე და შემდგომი ბავშვის მონათვლისა.

ნათლობის მსურველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს საქართველოს საპატრიარქოში, ა.წ. 25 დეკემბრიდან - 29 დეკემბრის ჩათვლით, 12:00-დან - 16:00 საათამდე.

რეგისტრაციის მსურველებმა თან უნდა იქონიონ:

- მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;
- მშობლების ჯვრისწერისა და ქორწინების მოწმობების ასლები;
- შვილების დაბადებისა და ნათლობის მოწმობების ასლები;
- მოსანათლის 2 ფოტო, 3X4-ზე დაბეჭდილი, სიდი დისკით;

საკონტაქტო ტელეფონებია:
593 90 08 10; 558 65 11 59; 593 46 45 71